31 აგვისტო 1918 წლისა. ფასი ნომრისა 80 კაპ.

წელიწადი პირველი.

ახალი სიტყვა

№ 12. ორკვირეული ჟურნალი. № 12.

შემდეგი № გამოვა 15 სექტემბერს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ჟურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ჟურნალის მიზანია ჩვენის ეკლესიის ცხოვრების განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი.

რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს, შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ჟურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე მღ. ისააკ ჩეკურაშვილთან: ტფილისი, ანჩის ხატის ქუჩა, სახ. № 1.

სარედაქციო მასალები და წერილებ უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ციცქიშვილთან: ტფილისი, კაბგეროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51.

დემულებანი ქორწინება-განქორწინების.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ შეიმუშავა და საბოლოო რედაქციით მიიღო შემდეგი კანონ-პროექტი საეკლესიო ქორწინება-განქორწინებისა, რომლის ტექსტი ჩვენ მოგვყავს გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკიდან“ (22 აგვ. № 22).

ამასთანავე ვაფრთხილებთ სამრევლოებას და საერთოდ მკითხველებს, რომ ეს დებულებანი ჯერ მხოლოდ პროექტია, სახელმწიფოსგან დაუდასტურებელი, კანონის ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებს.

„დებულებანი: I. ქორწინება. 1. საქართველოს ეკლესიის წევრი, რომელსაც დაქორწინება ჰსურს, ვალდებულია შეასრულოს წესი ჯვარის წერისა.

ქორწინებ-ს უფლება აქვს: კაცს ჩვიდმეტიდან სამოცდაათწლამდე. ხოლო ქალს თხუთმეტიდან სამოცამდე. სასძლო სასიძოს წლოვანება დადასტურებულ უნდა იქნეს რომელიმე ოფიციალ დოკუმენტით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეპარქიის მღვდელმთავრს შეუძლიან, როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, ქორწინების ნება დართოს თუ კაცს ჩვიდმეტამდე, ხოლო ქალს თხუტმეტამდე ერთ წელიწადზე მეტი არ უკლიათ.

3 ქორწინებისათვის საჭიროა ქალ-ვაჟის სრული თანხმობა და ნებაყოფლობა რაც მათ უნდა გამოაცხადონ ჯვარისწერის დროს მღვდლისა და, თუ მეტი არა ორ სრულწლოვან მოწმის წინაშე, რომელთაგან ერთი ვაჟის მხრივ იქნება და ერთი ქალისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქალ-ვაჟმა, მღვდელმა და მოწმებმა ეს თანხმობა უნდა დაადას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურონ საკუთარი ხელის მოწერით საეკლესიო საბუთებში.

4. ქალისათვის ჩვიდმეტ წლამდე, აგრედვე ვაჟისათვისაც, თუ მას ჩვიდმეტ წლამდეუხდება ქორწინება, სავალდებულოა დედამამის ან მზრუნველის წერილობითი ნებართვა.

5. თუ ქალი და ვაჟი ისეთ სამსახურში არიან, სადაც ქორწინებისათვის საგანგებო ნებართვის გამოთხოვაა საჭირო, ასეთი ნებართვა წერილობით უნდა იყოს დადასტურებული.

6. სასძლომ და სასიძომ უნდა წარმოადგინონ აგრედვე ექიმის მოწმობა ცოლქმრობისათვის საჭირო ფიზიკურ და ფსიქიურ ჯანმრთელობის შესახებ.

7. ჯვრისწერა უნდა სრულდებოდეს ეკლესიაში, მიღებულის წესით.

8. ჯვრისწერა აკრძალულია: დიდსა და მარიამობისთვის მარხვებში, ხუთ ფინვარს, ოცდაცხრა მარიამობისთვეს, თოთხმეტ ენკენისთვეს, ოცდა ოთხ ქრისტეშობისთვეს და აღნიშნულ დღეთა წინასაღამოს.

9. ქორწინებას დააყენებს: ა) სისხლითი ნათესაობა: პირდაპირი ყველა ხარისხში, არა პირდაპირი—ოთხ ხარისხში; ბ) თვისობა: პირველ ოთხ ხარისხში, მეორე—სამ ხარისხში; გ) ნათელმირონობა—ორ ხარისხში.

10. ქორწინება აეკრძალებათ: ა) განუქორწინებელ მეუღლეთ, ბ) ბერ მონაზონთ, და იერარქიულ პირთ და გ) სამჯერ ქორწინებულთ.

II განქორწინება.

11. განქორწინების კმასაყოფელ მიზეზად ითვლება:

ა) ცოლ-ქმარის სურვილი, ნოტარიალურად შემოწმებულ წერილობითი განცხადებაში გამოთქმული, ნებაყოფლურ განქორწინების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას სამი თვის შემდეგ კვლავ განიმეორებენ;

ბ) ცოლ-ქმარის ხასიათითა და რწმენით შეუგუებლობა, რომელიც შეუძლებლად ჰხდის მათს ერთად ცხოვრებას;

გ) ოჯახისათვის ცხადი უზრუნველობა, და მისდამი უყურადღებობა;

დ) ერთერთი მეუღლის მიერ სჯულის გამოცვლა ან სრულიად მიტოვება;

ე) ერთერთი მეუღლის მიერ ყველა სამოქალაქო უფლებათა დაკარგვა;

ზ) ერთი მეუღლის მიერ მეორის განზრახ თავის დანებება ერთი წლის განმავლობაში;

თ) ავად მოპყრობა ერთი მეუღლისა მეორისადმი;

ი) საპყრისობა და განუკურნებელი მცვედანობა;

ია) ვენერიული და სხვა ყოველგვარი განუკურნებელი გადამდები და სიცოცხლისათვის სახიფათო ფიზიკური სენი.

იბ) ეპილიპსია, სიგიჟე და იდიოტობა;

იგ) შვილოსნობის წინააღმდეგ განზრახ ზომების მიღება;

იდ) დაშინებით, ძალდატანებით და მოტყუილებით ჯვარის წერა;

ია) არაბუნებრივი სქესობრივი აქტი;

ივ) მრუშობა;

იზ) ლოთობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჩამთვლილ მიზეზებით, გარდა პირველისა, განქორწინება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ საფუძველზე პროცესს აღძრავს მეორე, დაინტერესებული მხარე.

12. განქორწინების საქმეს აწარმოებს საეპარქიო სასამართლო.

13. ზემო ჩამოთვლილ (პარაგრაფი 11) მიზეზები, საეპარქიო სასამართლოს თხოვნით, თუ ამას საჭიროდ სცნობს, გ მოძიებულ და დადასტურებულ უნდა იყოს შესაფერ სამსჯავრო-საადმინისტრაციო ანუ სამკურნალო დაწესებულებათა მიერ.

14. საეპარქიო სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან, არა უგვიანეს ერთის თვისა (განაჩენის გამოცხადებიდან) საქმის გადასინჯვა ითხოვოს საკათალიკოსო სასამართლოში საკასაციო წესით.

ეს არის მთელი დებულება ქორწინებაგანქორწინებისა

საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა ყოველგვარი მიწერ-მოწერა, განქორწინების თხოვნები ქართულად უნდა იწერებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით განქორწინების მთხოვნელმა თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს სათანადო საეპარქიო სასამართლოში თხოვნა და მისი ასლი, ჯვარის წერის მეტრიკა, ხაზინიდან ცხრა აბაზის კვიტანცია გარქორწინებას საქმისათვის, ორი თითო მანეთიანი მარკა და ხუთი თუმანი საქმის წარმოებისათვის.

ზემოდ მოყვანილი დებულებანი ქორწინება გაქორწინებისა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარედგინება დასადასტურებლად.

——

განმარტება მეცხრე მუხლისა.

პირდაპირი სისხლითი ნათესაობა ისეთი ნათესაობაა, რომელიც მშობელთა და მათ პირდაპირ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად, მე და ჩემი შთამომავლობა, ანდა მედა ჩემი წინაპარნი.

ა რ ა—პ ი რ დ ა პ ი რ ი ნათესაობა ისეთი ნათესაობაა, რომელიც და-ძმათა და მათ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად: მე და ჩემი შთამომავლობა ერთის მხრით და ჩემი და—ძმა და მათი შთამომავლობა მეორე მხრით.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ვ ი ს ო ბ ა ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს ერთი ქორწინება ორ სხვა და სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად: მე და ჩემი მეუღლის სისხლითი ნათესავები, აგრეთვე ჩემი მეუღლის სისხლითი ნათესავები.

მ ე ო რ ე თ ვ ი ს ო ბ ა ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს ორი ქორწინება სამ სხვა და სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად: ჩემი სიძე (დის ქმარი) და ჩემი მეუღლე; აქ ორი ქორწინებაა: 1) ჩემი და ჩემი მეუღლის, 2) ჩემი დის და მისი მეუღლის, გვარეულობა კი სამია: 1) ჩემი მეუღლის, 2) ჩემი და ჩემი დის, და 3) ჩემი სიძის.

ხ ა რ ი ს ხ ა დ იგულისხმება დაბადება ერთი ადამიანისა მეორისგან, მაშასადამე იმდენ ხარისხია, რამდენიც დაბადება. ცოლი და ქმარი ცალკე ხარისხს არ შეადგენენ, ამიტომ ჩემი მეუღლის ნათესავები ჩემთან იმავ ხარისხში ითვლებიან, რომელშიაც იმასთან. მშობელთა და შვილთა შორის ერთი დაბადებაა, მაშ ხარ'ხიც ერთია; და—ძმათა შორის ორი დაბადებაა (ძმა—მშობლები, და—იგივ მშობლები) და ხარისხიც ამიტომ ორია. გერი (პირველი თვისობის ნათესაობა) მამინაცვალ—დედინაცვალთან იმავე ხარისხში ითვლება, რომელშიაც შვილი თავის მშობელთან, ხოლო ნამდვილ (ღვიძლ) შვილებთან, როგორც ღვიძლ დაძმასთან.

ნ ა თ ე ლ მ ი რ ო ნ ო ბ ი ს ძალით აკძალულია მხოლოდ შემდეგი ქორწინება: ნათლიისა ნათლულთან, ნათლულისა—ნათლიასთან და მის ცოლ-შვილთან და დედმამასთან.

——

მორიგი საკითხი,

საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენით დამთავრდა ის გადამავალი ხანა ჩვენის ეკლესიის ცხოვრებისა, როცა დარღვეულ სამართლიანობის აღსადგენად საჭირო იყო კვალ და კვალ განგვეხორციელებინა დევიზი: ბრძოლა ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ, რომ დაინგრეს არსებული წესწყობილება და ნიადაგი მოუმზადდეს კაცთა შორის ახალ, ადამიანურ და სამართლიან ურთიერთობას. 26 მაისის ისტორიულ აქტით რევოლიუციონურ ნგრევის პროცესი მორჩა და იმითვე ნორჩი საძირკველი ჩაეყარა შემოქმედებას და ფაქტიურ განახლებას.

როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ჯარში, ყოველნაირ დიწესებულებაში და ცხოვრების დარგში, ეკლესიაშიაც ეს შემოქმედებითი მუშაობა უწინარეს ყოვლისა წეს-რიგის ანუ ესრედ წოდებულ დისციპლინის დამყარება განმტკიცებაში უნდა გამოიხატოს.

მეტია ლაპარაკი, რომ დისციპლინა ერთი უმთავრეს საგანთაგანია. უწესოდ, უდისციპლინოდ არამც, თუ ადამიანთა საზოგადოება, ნადირების ხროვაც, ფრთოსანთა გუნდიც ვერ იარსებებს. მცენარეებსაც კი რიგზე, ზომით და დროს თუ გარემოებათა მიხედვით რგავენ, რომ იხარონ. თვით რევოლიუციასაც თავისი ულმობელი, ასე ვთქვათ რკინის დისციპლინა აქვს, რომ მოქმედება შეესაბამებოდეს მიზანს და სათუო სიკვდ. დაბადოსუეკველი სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს უსაჭიროესი ძალა, ეს უმთავრესი მექანიზმი გონივრულ ურთიერთობისა—დისციპლინა დღეს ეკლესიაშიაც ისეა მოშლილი, როგორც ყველგან. უფროსი და უმცროსი ერთმანეთს ვერა სცნობენ: თანასწორნი ერთმანეთს ედავებიან უპირატესობას; მოვალეობათა შეგნება გაჰქრა; სამაგიეროდ ყველანი უფლებას და განდიდებას ებლაუბებიან; მოქალაქობრივი შეუგნებლობა, უზრდელობა და ლოგიურ ნახტომების წყურვილი ელვის სისწრაფით იზრდება. და თუ საქმე მომავალშიაც დღევანდელ მიმდინარეობით წავიდა, შორს არ არის ის დრო, როცა ეპისკოპოსსა და დიაკვანს შორის თანასწორ უფლებასთან მხოლოდ ის განსხვავება იქნება, რომ პირველს ბევრი მოვალეობა ექნება, მეორეს კი ნაკლები.

სამღვდელოებაში დისციპლინის დაცემას გარდა საერთო მიზეზებისა, რომელთა გაღრმავება თან სდევს რევოლიუციას, სოფლად თუ ქალაქად დიდად ხელი შეუწყო ცნობილმა ხუთშაურ—ორ აბაზის საკითხმა. უმცროსი ძმები მაშინ საქვეყნოდ „გვარწმუნებდენ, ოღონდ ეს საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ გადასწყვიტეთ და ჩვენ დაუყონებლივ შევიმუშავებთ ჩვენის მოვალეობის ინსტრუქციას, თვით ჩვენი ორგანიზაცია ადევნებს თვალ-ყურს, რომ ჩვენს შორის თავხედობას და უწესობას ადგილი არ ჰქონდესო. როგორც ვიცით, 1917 წლის 8—17 ეკენისთვის საეკლესიო კრებამ სწორედ ამ მოსაზრებით სავსებით დააკმაყოფილა უმცროს ძმათა ეს ეკონომიური მოთხოვნილება, მაგრამ არავითარი ინტრუქცია ამავე ძმათა უფლება-მოვალეობათა დღემდე აღარ შემდგარა და არ არსებობს და ყოველი მათგანი ისე იქცევა, როგორც საკუთარი ჭკუა და სინდისი გაუჭრის. მაგრამ ეს ძლიერ უვარგისი საზომია — და ვიცით მრავალი მაგალითები, რომ წიგნის მკითხველი წირვალოცვაზე დარეკის შემდეგ მოდის და მაშინ მიდის სახლში, როცა მღვდელი ჯერ კიდევ შემოსილია.. და სხვანი, და სხვანი...

თვით უფროსმა ძმებმაც, სამწუხაროდ, გადაჭარბებულად გაიგეს ეკლესიის და სამოქალაქო თავისუფლებანი და დღეს ხშირია მაგალითები, როცა მღვდელი ნება დაურთველად და ფაქტიურ საჭიროების გარეშე მთელი თვეობით სტოვებს სამრევლოს და სადღაც იკარგება; ერთი მოძღვარი მეორის წინაღმდეგ ყოველნაირ აგიტაციას ეწევა, რომ მის ადგილას წამოსკუბდეს; ზოგნი საყდარში და საზოგადოებაში ისე იქცევიან, რომ ერის კაცნი წითლდებიან მათ მაგივრად... საერთოდ სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა უმეტესობამ თავისუფლების ხანაში საკუთარ მაგალითებით გაამართლა კლემანსოს სიტყვები, რომ შეუგნებელი მონის თავისუფლება საშიშია, რადგანაც იგი პირველად თვით „თავისუფალსა“ წამლავსო.

მაგრამ შეუწყნარებელია, რომ ეს ასე გაგრძელდეს და თუ გაგრძელდა, ყოველივე პატივი აეხდება არამც თუ სამღვდელოებას, თვით სჯულსა და ეკლესიასაც. საჭიროა აღდგენილ და განმტკიცებულ იქმნას მიზანშეწონილი და გონივრული დისციპლინა, ყველას და ყველაფერში პასუხისმგებლობა. მაგრამ რა საზომით და თვალსაზრისით, ამაზე ჩვენ შემდეგს წერილში გამოვსთქვამთ ჩვენს აზრსა.

დეკ. ილ. შუბლაძე

სარწმუნოება სოფლად.

მიმდინარე ზაფხულს რამოდენიმე ხნით მოგვიხდა სოფლად ყოფნა. ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებდა ხალხის სარწმუნოებრივი მდგომარეობა,—არა ის ისტორიულად ჩამოსხმულ და შეყინულ ფორმებში, რომელნიც კიდევ არსებობენ სოფლად სხვა და სხვა ადათ—ჩვეულებების სახით,—არამედ მისი თანამედროვე სახე, როგორც ხალხის ცოცხალი გრძნობა და სულის კვეთება,—ის, თუ რა ადგილი უკავია ჩვენი სოფლის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას, მის ინტერესს.

სამწუხაროდ, ჩვენი შთაბეჭდილება უაღრესად დამაღონებელი აღმოჩნდა. სოფელი სარწმუნოებრივ უდაბნოდ გადაქცეულა; ხალხი კულტურულად გაველურებულა; სოფელი კიდევ არსებობს ფიზიკურად, მაგრამ იგი სულიერად გადაგვარებულა, სარწმუნოებაზე და ეკლესიაზე ლაპარაკი სოფლად რაღაც ანაქრონიზმად ქცეულა,—მათ ყველა გაურბის, იგინი აღარავის აგონდებათ. არაჩვეულებრივი მჭერმეტყველის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოვებული მქადაგებელი და უაღრესად სინ-

ტერესო თემა უნდა გადუშალოს მან თვალწინ, რომ ხალხის ყურადღება, წუთიერად მაინც, თავისკენ გადმოხაროს და დროებით მაინც აამოძრაოს მის გულში მიძინებული სარწმუნოებრივი გრძნობები .. მაგრამ სადღაა ამისთანა მოძღვარი სოფლად?! სადღაა მისი ცოცხალი სარწმუნოებრივი სიტყვა?! ან სად არის სასოიანი წირვა-ლოცვა?! ყველა ამის მაგიერ დაწყებულა ერთგვარი „ლიკვიდაცია“ სამღვდელოების ინსტიტუტისა. დიდი უმრავლესობა ნასწავლ მღვდელთა იხდის „ანაფორას“ და ლუკმა პურის საძიებლად გარბის მრევლიდან. ხოლო ვისაც არ შესწევს გამბედაობა ან ვერ დაუთმია წმიდა სამსახური, იგი ჩაბმულა შიმშილთან და არსებობისათვის ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებულა მისა და მრევლის შორის. ამ ორ მებრძოლ მხარეს აღარავითარი ზნეობრივი კავშირი აღარ აერთებს. ბრძოლის სიმწვავეს შეუწყვეტია მათ შორის ყოველგვარი იდეიური ძაფები და გაწყვეტილა იგინი ორს შეურიგებელ მოპირდაპირეთ:—ამგვარად, მრევლი მოსწყვეტია თავის უმთავრეს კულტურულ წყაროს, და, უპატრონოდ გარიყული, სულიერად იშრიტება...

აკვერდებით ხალხის ყოველ-დღიურ ცხოვრებას, თვალ-ყურს ადევნებთ მის მოქმედებას, მის აზროვნობას და გრძნობას, მის ჭირსა და ლხინს და ნაკლებად პოულობთ მასში იმას, რასაც სარწმუნოება ეწოდება. დილით საღამომდის სოფელი ჩაფლულია დღიურ ჭირ-ვარამში; მთელი მისი ენერგია და აზრი, შინ თუ გარეთ, იშრიტება ლუკმა-პურის ძიებაში. მისი პსიხიკა შეპყრობილია მხოლოდ „კუჭის საკითხით“, რომლის გარეშე მისი გონება აღარაფერს დაეძებს. მრავალი გზით და ყოველგვარი საშვალებით იგი ესწრაფვის მხოლოდ ერთს: პურს, ფულს და შეუკავებელს ლხინს. ხანდახან იგი „აზროვნობს“ „საზოგადო“ საკითხებზედაც, მას ეინტერესება „გაზეთიც“ და „პოლიტიკაც“, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ესენი მის ქონებრივ გაუმჯობესობას შეეხებიან. „კუჭის“ გარეშე მისთვის აღარაფერი არსებობს. ყოველივე „სულიერი“ გამოდევნილია მის დღიურ წესრიგიდან,—იგი აღარაფერს ეუბნება არც მის გულს და არც გონებას;—თითქოს მასში აღმოფხვრილიყოს სარწმუნოებრივი მოთხოვნილებაც. მას დავიწყებია უბრალო სიმბოლოური ნიშნები და გარეგნული გამოხატულება სარწმუნოებრივი განცდისა. როგორც შის, ისე გარეთ, აღარ არსებობს მისთვის ლოცვა და პირჯვრის-წერა; მას დაჰვიწყებია აგრეთვე მარხვა და ეკლესიის გზაც. ყველა ამის მაგიერობას ეწევა მისთვის შეუკავებელი ლხინი, ქეიფი და გარყვნილება...

არის ერთი მოვლენა მის ცხოვრებაში, რომელიც თავზარდამცემი საშინელებით აფხიზლებს მის გონებას და აყენებს მას მირისპირ „სამარადისო საკითხებისა“,—ეს არის სიკვდილი, სწორედ ამ იდუმალობის მომენტებში უნდა ცხადდებოდეს უტყუარი სისწორით ჩვენი სოფლის სარწმუნოებრივი სალარო, მისი მეტაფიზიკა და, საერთოდ, მსოფლმხედველობა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, სიკვდილიც მისთვის უბრალო ფიზიკურ მოვლენად გადაქცეულა. მისგან გამოწვეულ ცვლილება მის ცხოვრებაში არ არის ხანგრძლივი და მასთან ერთად „ამ ქვეყნიური“-ს საზღვრებს ვერ სცილდება. სიკვდილში იგი ხედავს მხოლოდ მახლობელ პირის დაკარგვას და განიცდის ამ დაკარგვის სიმწვავეს, მაგრამ არავითარი მეტაფიზიკური ასოციაციები და განცდანი,—ეს ჩვეულებრივი თანამგზავრნი სიკვდილის შთაბეჭდილებისა, არ ეღელვებენ მის სულსა და შეგნებას. ამიტომაცაა ჩვენი ხალხისთვის ასე ძვირფასი უნუგეშო სიკვდილი...

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ამით არ უარყოფთ ჩვენი ხალხის საერთო ბუნებრივ სარწმუნოებრივობას. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ჩვენ ვეხებით მის სარწმუნოებრივობას დღევანდელ მომენტში, როგორც ფაქტს და როგორც ფაქტორს მისი სულიერი ცხოვრებისას და ამ მხრით კი კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენი სოფლის დღევანდელს ცხოვრებაში სარწმუნოებას აღარავითარი სარბიელი აღარ დარჩენია. საუკუნოებრივი ტრადიციით მომდინარე მისი ეთიური ძალა ჩვეულებრივი ინერციით კიდევ მოქმედობს მასში, მაგრამ აქაც ეს ძალა ძლიერ მკრთალია და მას ადვილად ჩრდილავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღიერ“ საკითხებით გამოწვეული მისი სულიერი მოძრაობანი, რომელნიც სრულიად დაუფლებიან ჩვენი ხალხის ბსიხიკას, და აი ამ სარწმუნოებრივობის დაცემასთან ერთად, ჩვენს მდაბიო ხალხში იმარხება მისი სულიერი „კულტურაც“, ვინაიდან დღემდე ჩვენი ხალხის განმაკეთილშობელი კულტურული ძალა არის მხოლოდ სარწმუნოება; იგია მისი კოსმოგონია, მისი ეთიკა და მთელი მსოფლმხედველობაც, რომლის დაცემასთან ერთად იშრიტება და ცალიერდება ხალხის ბსიხიკა და რომლის დანაკლისს და მაგიერობას ველარ ავსებს სხვა რომელიმე კულტურული ძალა. ხალხის უგუნურნი მქადაგებელნი ძალიან შეეცადენ შეერყიათ და მოესპოთ სარწმუნოება და სამაგიერო კი ვერაფერი მისცეს და არც შეიძლებოდა ამის სამაგიეროს მიცემა.

და დღეს ჩვენი ხალხის ბუნებაში, რომელსაც შეუსუსტეს უმაღლესი სარწმუნოებრივი „რეგულიატორო“ ცხოვრებისა, ამოიშალნენ მთელი თავისი სიძლიერით და საშინელებით მასში ჩამარხული დაბალი ინსტიქტები და ჩვენი სოფელიც ამ ჟამად ამ ველურობის მსხვერპლად იქცა.

დიდი და სპასუხისმგებლო მუშაობაა საჭირო საქ. ეკლესიის მესვეურთა, რომ ხალხის ზნეობა და სარწმუნოებრივობა შესაფერ სიმაღლემდის აიყვანონ.

სოფლელი.

სარწმუნოება ზნეობა.

(გაგრძელება. იხ. „ახ. სიტყვა“ № 11)

იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა ამცნეს კაცობრიობას, ვინ არის ღმერთი და როგორ უნდა ვსცეთ მას თაყვანი და რითი შეგვიძლია მოვიპოვოთ სიყვარული ყოვლად მოწყალე, ყოვლად კეთილ ზეციერ მამისაგან. ღმერთი—ღმერთია არა ერთი რომელიმე ხალხისა, როგორც ფიქრობდენ ებრაელები, არამედ ყველასი: „არ არის ურიაობა, არცა წარმართება, არამედ განურჩევლად შვილები ვართ ერთი ღმერთისა, ზეციური მამისა“, ამბობს მოციქული. ჩვენსა და ღმერთს შუა მამაშვილური დამოკიდებულება არის. ყოველივე მისი მოქმედება ჩვენ შესახებ განუსაზღვრელი სიყვარულით არის აღბეჭდილი. თუ ვინმე შესცოდავს (უცოდველი კი არავინ არ არის) და ამ ცოდვას იგრძნობს, შეინანიებს და გულმოდგინეთ შეევედრება, სთხოვს პატიებას, ყოველთვის მზათ არის მისი ვედრება შეიწყნაროს. (ლუკ. 15). აგრეთვე უჩვენეს კაცობრიობას, თუ როგორ უნდა მოეწყო მას ოჯახი და საზოგადოებრივი ურთიერთობა. დედაკაცს მიენიჭა შესაფერი უფლება, ის გაუთანასწორდა მამაკაცს გაისმა ხმა: „არ არის რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა“ (გან. 2, 28). ცოლმა თავი დაახწია მონობას, გახდა ქმრის თანაშემწეთ, დაიკავა მასთან თანასწორი ადგილი. დედმამას სავალდებულოდ გაუხადეს შვილების აღზრდა—სწავლება. გაბედულად ეაიწყეს ქადაგება: „არცა მონობა, არცა აზნაურობა“. მონა განთავისუფლდა თვისი სამარცხვინო მდგომარეობიდან და შეიქნა თვისი ბატონის ძმათ და ამასთან ერთად მოისპო სახელი „მონა“. ქრისტიანობამ შესცვალა შეხედულობა შრომაზე რომელსაც კერპთაყვანის მცემლობის დროს სთვლიდნენ ადამიანის ღირსების დამამცირებლათ. ქრისტიანობის გამოცხადების პირველი დღეებიდგანვე შრომა სავალდებულოთ გახდა ყველასათვის. „უკეთუ ვისმეს არ უნდეს საქმისა ნურცა სჭამს“, ამბობდენ მოციქულები. კანონმდებლობაში ქრისტიანობამ მოსპო ჯვარზე გამსჭვალვით დასჯა, უსასტიკესი ფორმა, სიკვდილით დასჯისა. გლადატარობა გადავარდა, ბავშების გადაყრა აიკრძალა, თვით ადამიანის ზნეობრივ მხარეში პირველი ადგილი დაეთმო სიმშვიდესა და სიყვარულს. „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა და კეთილს უყოფდით მოძულეთა თქვენთა“, პირველად გაიგონა კაცობრიობამ. სიმდიდრეს შესაფერი შეფასება მიეცა. ყველას თვისი ქონება ღარიბთათვის უნდა ვაენაწილებია. აქედგან ეკონომიური დამონავება ერთი კლასისაგან მეორესი ისპობოდა. აღმოცენდა და სისწრაფით გაიზარდა ქველმოქმედება—პატრონობა დასახიჩრებულთა, მოხუცებულთა და ავათმყოფთა. შეცოდება და შეწყნარება სხვისა ადამიანის მეორე ბუნებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიქცა. ნაციონალური განსხვავება მოისპო; ამაყი რომალი და ბერძენი თანდათან შეეჩვიენ აზრს, რომ ყოველნი შვილნი ვართ ერთი და იგივე მამისა, უზენაეს არსებისა— ღვთისა. პიროვნება ადამიანისა ამაღლდა.

(დასასრული იქნება).

ბაჯითელი.

ღვთის მსახურებისათვის

3. ტაძარი და მისი მოწყობილობა,

კაცს ყველგან შეუძლიან ლოცვა-ვედრების შესრულება, რადგან ღმერთი ყველგან მყოფი არსებაა, მაგრამ სარწმუნოებრივი გრძნობების გამაძლიერებელ და ხელის შემწყობ პირობად ითვლება ტაძრები, გამშვენებული სარწმუნოებრივ ხასიათის საგნებით. ყოველი კაცი ცდილობს თავისი ყოველდღიური სადგომი რაც შეიძლება კარგი და მოხდენილი იყოს. მით უმეტეს სავალდებულოა მორწმუნეთა კრებისათვის იზრუნოს ეკლესიის კეთილმშვენიერებისათვის. ამ მხრივ კათოლიკებს და ლიუტერანებს უფრო კარგათ აქვთ საქმე დაყენებული. მათი ეკლესიები ყოველ მხრივ აკმაყოფილებს მლოცველის მოთხოვნილებას. ლამაზი, ნათელი, ზამთარში თბილი, მათი ეკლესიები უნებლიეთ იზიდავს მლოცველს. ჩვენი სოფლების ეკლესიებს კი ამ მხრივ ბევრი ნაკლულევანობა აქვთ. მაინც ჩვენში, სოფლებში, უფრო ეკლესიების გაძრავლებას მისდევენ, ვიდრე მათ მოწყობილობას და მლოცველთათვის ხელის შემწყობელობას. სოფლელები ძალიან ხშირად ერთმანეთის ქიშპობით აშენებენ ეკლესიას, ყველას უნდა ახლოს ჰქონდეს იგი. ამით აიხსნება სიღარიბე და მოუწყობლობა სოფლის ეკლესიებისა განსაკუთრებით. ზამთარში მაინც სოფლის ეკლესიებში წირვა-ლოცვის მოსმენა პირდაპირ ღვაწლია. ბევრგან ეკლესიებში ქარ-ბუქს არაფერი არ აკავებს. ახლა მორთულობა იკითხეთ. შესამოსი დაგლეჯილ-დახლეწილი, რა მატერიისაა ან რა ფერისაა, კაცი ვერ გამოიცნობს. ადამის წლის ჭუჭყი ზედ აკრავს. კანკელის მხატვრობა ხომ ზოგგან პირდაპირ დასაფეთებელია. ხშირად სასოფლო კომიტეტები, ეკლესიის საამშენებლო, სიაფისათვის მოიწვევენ ხოლმე უბრალო მღებრებს და ახატვინებენ კანკელებს. ერთ დროს ასეთი მხატვარი იყო ვინმე ტარიელოვი, რომელმაც ქართლში თავის არა კეთილად სახსენებლად მრ. კანკელი დახატა. საჭიროა ხალხს შევაგნებინოთ, რომ ეკლესია უფრო მოწყობილი გამშვენებული უნდა იყოს, რომ კაცს იზიდავდეს და აღძრავდეს სალოცავად. სჯობია მეტი სოფელი შეერთდეს, ცოტა სიშორეს არ დაერიდოს და რიგიანი ეკლესია კი აიშენონ, ფართე გალავნით, სადაც ძველებირად, საჩრდილობელი ხეები უნდა ამშვენებდეს ეკლესიის გარემოს. შეერთებულის ძალით უფრო ადვილი იქნება დიდი მრევლისათვის კრებულის შენახვა და საეკლესიო სხვა საჭიროებითა დაკმაყოფილება, როგორც მაგ. მგალობელ გუნდის შენახვაა და სხვა ამგვარი საქმე.

დიდი ყურადღება უნდა ექმნეს მიქცეული საეპარქიო მთავრობათა მიერ, ეკლესიების აშენების დროს არ იქმნეს დავიწყებული შენობის ზოგიერთი ტეხნიკური საჭირო მოთხოვნილებანი. სული ადვილი საქმეა ქვითკირის ეკლესიას საკურთხეველში დააყოლონ ოსტატებმა მაგ. ნახშირის გასაღუებელი, რომლის მილიც ყვანილ უნდა იქნეს სახურავს ზევით. მაშინ აღარც მხრჩოლავი კვამლი გადგება ეკკლესიაში და აღარც მნათეს დასჭირდება შორს სირბილი საცეცხლურით. ეკკლესიებისთვის აგრეთვე აუცილებელია სახმილების (ფეჩების) ქონაც, რომ გაცივებულ ეკკლესიაში ზამთრობით კაცს არ გაუხდეს ფეხების ბაკა-ბუკი და იმაზე ფიქრი ან ვედრება, ღმერთო, შემაძლიებინე წირვის, ან ლოცვის, გათავებამდე როგორმე შევიძლო ეკკლესიაში დგომაო.

აქვე ვიტყვი კათოლიკე და პროტესტანტების ეკკლესიების ერთ თვისებაზე-ეკკლესიებში სკამების ქონებეზე. გვგონია, რომ ფართე ეკკლესიაში სადაც საკმაოა ადგილი, შეიძლება სკამები ჩვენც შემოვიღოთ. აქ, ამ ახალშემოღებაში, არავითარი დოგმატიური მხარის დარღვერა არარის. ეს ჩვ ულება არის, ვისაც მოსწონს შემოიღებს, ვისაც არა, არშემოიღებს. იმას ხომ ვერ ვიტყვით, რომ კათოლიკე-პროტესტანტებს ეს ურწმუნოებით მოსდიოდეთ; ან სისულელით. ებრაელებსაც ჰქონდათ და აქვთ საჯდომები სალოცავებში. ჩვენს ეკკლესიებშიაც უდგამდენ ხოლმე სავარძლებს მეფის გვარიშვილებს და მეფეებს. თვით მღვდელმთავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბსაც და მღვდლებსაც აქვთ სკამები და სავარძლები საკურთხეველში და მოისვენებენ ხოლმე, როდესაც დასჭირდებათ ლოცვის დროსაც. ასევე შეიძლება ერის კაცთათვისაც გამართულ იქმნეს საჯდომები. ტფილისში მაინც ეკკლესიები ბევრია და დიდებიც და მლოცველები ნაკლები, ასე რომ სკამების გამართვა ასეთს ეკკლესიებში მოსახერხებელია და მლოცველებსაც მეტხანს შეაჩერებს ეს გარემოება ეკკლესიაში. შეიძლება უფრო მეტმა ხალხმაც იაროს ამით ეკკლესიებში, როგორც კათოლიკე-პროტესტანტებისაში ხდება. ამით ეკკლესია და სარწმუნოება არაფერს არ დაჰკარგავს, პირიქით, უფრო შეაყვარებს ხალხს ეკკლესიაში სიარულს, თუ ამასთანავე ერთად მიექცევა, რასაკვირელია, ყურადღება გალობის, ქადაგების და კითხვის გაუმჯობესობა—გამშვენებას.

დეკ. ქრ. ციცქიშვილი.

მესხელის მოწოდების გამო.

დედამიწაზე არ უნდა მოიძებნებოდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც ყველას გულის მოგება შეეძლოს. იმიტომ, რომ კაცს ერთი მხრით ან შეუძლია ყველასთან სამართლიანი და შეუცოდებელი იყოს, ხოლო მეორე მხრით ადამიანი თავის თვალში თუ ხშირათ დირეს ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვი არ დაემალება და, ამ ერელ დროს მაინც, ძლიერ აღშფოთდება, როდესაც ვინმე გაკაღნიერდება და თვალიდგან დვირეს ამოღებას ურჩევს, თუ გინდა მრჩეველი მი ი პირდაპირი უფრო ი და რჩევა-დარიგების ვალდებულიც იყოს. მაგრამ ადამიანი, თუ მასში პატიოსნება და კეთილგონი რება ერის, აფიციალურის და საპასუხისმგებლო საქმის სათავეში მდგომის პიროვნების შესახებ უნდა მსჯელობდეს არა საკუთარი სიმპატია ანტიპატიით მისდამი, არამედ იმ თვალსაჩინო ღვაწლის მიხედვით, რომელიც მ ს მიუძღვის საზოგადოების წინაშე.

წასულ წელში საქათალიკოსოთ ორი ღირსეული კანდიდატი იყო დას ხელებშლი: კირიონი და ეპ. ლეონიდი, რომელნიც თითქმის ერთნაირად იქმნენ არჩეულნი საკათოლიკოსო კანდიდატებად.

დღეს რომ ქართველ იერარქიაში მიტროპოლიტი მამა ლეონიდი ღირსეული საქათოლიკოსო კანდიდატია, ეს ცხადზედ უცხადესია ყველი შეგნებული ქართველისათვის. ამიტომ, ვუერთებ რა ჩემს სუსტ ძმას ბ-ნ მესხელისას, დარწმუნებული ვარ მ. ლეონინიდის ახლავე საქათალიკოსო კათედრაზე აღყვანის აზრს სიხარულით გაიზიარებენ, როგორც ყველა ჩვენი მღვდელმთავრები, ისე მთელი შეგნებული ნაწილი ჩვენი სასულიერო და საერო წოდებისა.

იმერეთის ეპარქიის სოფელ ღორეშის ეკკლესიის მღვდელი **სიმონ ჭუმბურიძე.**

ქრონიკა.

25 აგვისტოს კირას სიონის ტაძარში გადახდილ იქმნა ჭყონდიდლის მიტროპოლიტის ამბროსისა და ტფილისის სამღვდელოებისაგან პარაკლისი და ტფილელ მიტროპოლიტის ლეონიდის 30 წლის სამსახურის შესრულებისა გამო სამღვდელო ხარისხში. პარაკლისის წინ ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა გრძნობიერის და მჭევრმეტყველურის სიტყვით მიმართა იუბილიარს და თან აღნიშნა, რომ საქართველოს ეკკლესიის თაოსნობა, მისი მესაჭეობა შეჰფერის დღეს ამ ეკკლესიის ჭირნახულ მოამაგეს მიტროპოლიტ ლეონიდს. პარაკლისის შემდეგ მიულოცეს იქვე ამბიონზე მდგომ მიტროპოლიტ ლეონიდს 30 წლის ნამსახურობა საქ ეკკლესიისადმი სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლებმა და კერძო პირებმა. შინაარსიანის და საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა არქიმ. ნაზარმა; ჩვეულებრივის მჭევრ მეტყველობით დაასურათა მიტრ. ლეონიდის მოღვაწეობა ბ. ივანე რატიშვილმა. ხალხი ბევრი იყო ტაძარში, თუმცა მეტი იქნებოდა გაცილებით, რომ დროზე, გამოცხადებულიყო გაზეთებში, თუ განზრახული იყო აღნიშნული პარაკლისი.

— —

ტფილელმა მიტრ. ლეონიდმა აღძრა მთავრობის წინაშე საკმე სამღვდელოებისათვის ჯამაგირის დანიშვნაზე. ამის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამ შვილი ინახულეს მიტროპოლიტებმა ლეონიდმა და ამბროსიმ და ურბნელმა ეპ. დ ვითმა. მთავრობა შეჰპირდა ჯამაგირის დანიშვნას ამ დროის მიხედვით.

— —

რედაქციისაგან: ვთხოვთ იმ პირთ, ვისაც გაეგზავნათ დასაგზავნად პირველი ნომერი „ახალ სიტყვისა“, თუ გადარჩა ამ ნომრის ეგზემპლიარები, დაგვდონ ფული და გამოგვიგზავნონ რედაქციაში, რომელსაც ეს № 1 აღარ მოეპოვება.

გამომცემელი ქ. ტფილისის ამღვდელოება.
„ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული დეკ. ქრ. ციცქიშვილი.

თბილისი, სტამბა „სორაპანი“.